ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2015 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს N7 განკარგულების თანახმად საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საკრებულოს წევრი გელა ჩავლეშვილი; ამავე წლის 13 აგვისტოს N16 განკარგულებით დამტკიცდა კომისიის პერსონალური შემადგენლობა ვლადიმერ ვადაჭკორია, მურად ჩხაიძე, ინგა დუმბაძე, მიხეილ გოგოტიშვილი, გურამ კოჩალიძე, ალექსანდრე გოგოძე, თეიმურაზ ბურჭულაძე, ლელა ნაცვალაძე, დავით ჭაკნელიძე, ლალი სიჭინავა.

საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს N8 დადგენილებით დამტკიცდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულება.

კომისიის 2014 წლის 18 აგვისტოს სხდომაზე ერთგვაროვან ფუნქციათა დაჯგუფების მიხედვით კომისიაში შეიქმნა ორი სამუშაო ჯგუფი: ბიუჯეტის შემოსულობების მაკონტროლებელი ჯგუფი (ჯგუფის უფროსი ალექსანდრე გოგოძე) და ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის კონტროლისა და მონიტორინგის ჯგუფი (ჯგუფის უფროსი ინგა დუმბაძე).

2015 წლის 1 იანვრიდან ამავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საკრებულოს ბიუროს მიერ წინასწარ დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, კომისიამ ჩაატარა 33 დამოუკიდებელი და ორი ერთობლივი სხდომა (სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიასა და განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისასთან ერთად). სხდომებზე სულ განხილულ იქნა 44 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში სხდომებზე განხილულ სხვადასხვა საკითხებთან ერთად კომისიამ გამოიტანა 22 დასკვნა, მათ შორის,

- 2015 წლის ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე 9-ჯერ;

- 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის აღმასრულებელ ორგანოში დაბრუნების თაობაზე;

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე (შემოწმების პერიოდი 2012-2013 წლები) კონტროლის სისტემისა და აღრიცხვა-ანგარიშგების ეფექტურობის ამაღლების თაობაზე;

- დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;

- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;

- მუნიციპალიტეტის სანაპირო ზოლის ნაგვის შემკრები აღჭურვილობის შესყიდვის თანადაფინანსების თაობაზე;

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ;

აღსანიშნავია რომ კომისიამ 2015 წლის 3 თებერვლის სხდომაზე მხარი დაუჭირა სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის ზრდას 60 ლარიდან 73 ლარამდე, ხოლო იმავე საკითხთან დაკავშირებით, გამგეობის მიერ შემოტანილი პროექტი ტარიფების დამატებითი ზრდის საკითხზე განიხილა 2015 წლის 1 დეკემბერს და მიზანშეუწონლად სცნო ადგილობრივი გადასახადის განაკვეთების კიდევ გაზრდა, რაც შემდგომ მხარდაჭერილი იქნა საკრებულოს მიერ.

კომისიამ 2015 წლის 20 მაისის სხდომაზე მოიწონა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მოხსენება 2016 წელს პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ.

13 ოქტომბრის სხდომაზე მოწონებული იქნა პროექტი, რომელიც განსაზღვრავს საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარსადგენ საბიუჯეტო განაცხადების ფორმებსა და შევსების წესს(შემდგომ მიღებული იქნა საკრებულოს სხდომაზე).

საანგარიშო პერიოდში კომისია განიხილავდა შემოსულ წერილებსა და კორესპოდენციებს. მაგალითად, მიზანშეუწონლად სცნო სარეკლამო კატალოგის ბეჭდვითი ხარჯების ბიუჯეტიდან დაფინანსება და შესაბამისად უარი უთხრა მოქალაქე ქვარცხავას.

საანგარიშო პერიოდში, ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში და ყოველკვარტალურად, კომისია ისმენდა და აფასებდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო ორგანოსა და მუნიციპალური შესყიდვების განყოფილების ანგარიშებსა და ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შედეგებს. კომისიას, 2016 წლის ბიუჯეტის პროექტზე მუშაობისას, მიღებული აქვს რამდენიმე რეკომენდაცია და შენიშვნა, რომლებიც შემდგომ მიღებულ იქნა საკრებულოს მიერ. ამასთან ერთად გათვალისწინებული იქნა რამდენიმე რეკომენდაცია საბიუჯეტო პრიორიტეტებიდან დაკავშირებით.